N 617

09/03/2023

617-0-2-202303091143

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ვენერა მეტრეველს

ქალბატონო ვენერა,

თქვენი 13.02.2023 წლის N 21/829 წერილის პასუხად, რომელიც ეხება სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა''-ს მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით წარმოდგენილ ქობულეთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში 220 კვ. ,,პალიასტომი 1''-ს შეჭრის 220/110/35 კვ. ქ/ს ,,ოზურგეთში'', 110 კვ. ორჯაჭვა „ოზურგეთიზოტიჰესის“ ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანისა და ქვესადგური ,,ოზურგეთის'' განთავსების პროექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადებას, გაცნობებთ, რომ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ განხილული იქნა წარმომდგენილი დოკუმენტი, რის შედეგადაც დადგინდა, ცვლილების მონაკვეთი არ მდებარეობს დაცული ტერიტორიის საზღვრებში, თუმცა გაცნობებთ, რომ ობიექტი მდებარეობს გურიის გეგმარებითი დაცული ტერიტორიების საკვლევ არეალში. (იხ. სიტუაციური რუკა).

იმის გათვალისიწნებით, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე იგეგმება გურიაში პირველი ეროვნული პარკის დაარსება ორჯაჭვა „ოზურგეთიზოტიჰესის“ ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანისა და ქვესადგური ,,ოზურგეთის'' განთავსების პროექტის ექსპლუატაციის განხორციელების პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევების, მშენებლობის, ფუნქციონირებისა და შემარბილებელი ღონისძიების დროს გამოყენებულ უნდა იქნას ის სტანდარტები, რომელიც ითვალისწინებს ფლორისა და ფაუნის სახეობების უსაფრთხოებას დაცული ტერიტორიებისა და ბიომრავალფეროვნებით მნიშვნელოვანი არეალის ფარგლებში. აგრეთვე, ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანისა და ქვესადგური ,,ოზურგეთის'' განთავსების პროექტის მშენებლობამ და ექსპლოატაციამ ხელი არ უნდა შეუშალოს აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგეგმილ გურიის ეროვნული პარკის დაარსებას.

დანართი 1 ფაილი.

პატივისცემით,

ბესიკ კუსიდი

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი